ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

11-19 მარტი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი გერმანიის შეიარაღებულ ძალებში

გერმანიის სამხედრო კომისრის, ევა ჰოგლის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გერმანიის სამხედრო ძალების საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული საგამოძიებო სამუშაოების ფარგლებში, 319 ჯარისკაცი ეჭვმიტანილია ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმში.

14.03.2023

ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების აქტივობა გაერთიანებულ სამეფოში

„ახალი რესპუბლიკური არმია“ ჩრდილოეთ ირლანდიაში

ჩრდილოეთ ირლანდიის საპატრულო სამსახურის ტერორიზმის საგამოძიებო ერთეულმა (PSNI) ტერორისტული ორგანიზაცია „ახალი ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოებული საგამოძიებო სამუშაოების ფარგლებში 42 წლის მამაკაცი დააკავა. დაკავებული მუსგრავის პენიტენციურ დაწესებულებაშია გადაყვანილი.

15.03.2023

ნეონაცისტური დაჯგუფება „მუხის კერა“ შოტლანდიაში

გლაზგოს უზენაესმა სასამართლომ 32 წლის შოტლანდიელი მამაკაცი, ჯეიმს ფარელი, დამნაშავედ ცნო ნეონაცისტური დაჯგუფება „მუხის კერის“ (Oaken Hearth) წევრობასა და ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის ინტერნეტით გავრცელებაში. სასამართლომ ჯეიმს ფარელს სასჯელის სახით 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

16.03.2023

ჰამიეტ იალცინკაიას (ლეილა ამედი) ლიკვიდაციის შესახებ

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, სულეიმან სოილუმ, დაადასტურა ინფორმაცია შინრაქის პროვინციაში 2023 წლის 22 იანვარს ჩატარებულ სპეცოპერაციის ფარგლებში ქურთების მუშათა პარტიის ადგილობრივი საველე მეთაურის, ჰამიეტ იალცინკაიას (ლეილა ამედი) ლიკვიდაციის შესახებ.

12.03.2023

ირანის ისლამური რესპუბლიკის სასამართლოს განაჩენი ჰაბიბ ჩააბის საქმეზე

ირანის სასამართლომ შვედეთის მოქალაქე ჰაბიბ ჩააბი, დამნაშვედ ცნო ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულ ლიბანელ არაბთა მოძრაობის

(ჰარაკატ ალ-ნიდალის) წევრობაში და სასჯელის სახით უვადო პატიმრობა შეუფარდა. ჰაბიბ ჩააბი, 2020 წლის ოქტომბრიდან ირანის ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კორუფციის და მეამბოხე დაჯგუფების ჩამოყალიბების ბრალდებით იხდიდა სასჯელს. ჩააბი 2020 წლის ოქტომბერში თურქეთში გაუჩინარდა, ხოლო ნოემბერში ირანის ხელისუფლებამ გაავრცელა ვიდეო, სადაც აღნიშნული პირი ადასტურებს საუდის არაბეთის უსაფრთხოების სამსახურებთან თანამშრომლობას, ტერორისტული თავდასხმების დაგეგმვას და მათ განხორციელებას.

12.03.2023

ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშთან დაკავშირებით არსებული ვითარება ერაყში

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია დიალაში

დიალაში ერაყის უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულია ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშთან დაკავშირებულ ჯგუფებში გაწევრიანებული 86 ტერორისტი. ერაყის თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის ფარგლებში უსაფრთხოების სამსახურმა ამოიღო 55 ცეცხლსასროლი იარაღი, 4 სანადირო თოფი, 60-მილიმეტრიანი მცირე დისტანციის ჭურვი, შვიდი პნევმატური იარაღი, კვამლის ყუმბარა, 18 სატრანსპორტო საშუალება (ავტომობილი), 160 მოტოციკლი, მობილური ტელეფონი და ტყვია-წამალი.

11.03.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ანბარის უდაბნოში

ერაყის უსაფრთხოების სამსახურის მიერ ანბარის უდაბნოში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, კონტრტერორისტულმა სამსახურმა შაჰიდის ქამრებით აღჭურვილი, დაეშის 22 მებრძოლი გაანეიტრალა. კონტრტერორისტული სამსახურის უფროსის, გენერალი აბდულ ვაჰაბ ალ-საედის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ლიკვიდირებულ ტერორისტებს შორის არიან დაეშის მაღალი რანგის სამხედრო წარმომადგენლები - ბარზან ჰუსეინი და როკან ჰამიდ ალავი.

11.03.2023

კაის ალ-მოჰამადავის კომენტარი ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის შესახებ

ანტიჯიჰადისტური კოალიციის წევრი ერაყელი გენერალი, კაის ალ-მოჰამადავი, გამოცემა Agence France-Presse საუბარში ადასტურებს ტერორისტული

ორგანიზაცია დაეშის 500 მებრძოლის ოპერირებას ქვეყნის მასშტაბით. გენერლის განმარტებით, ამ დროისათვის დაეში გამაგრებულია უდაბნოებსა და მაღალმთიან რეგიონებში რაც ზღუდავს ორგანიზაციის ახალი წევრების მოზიდვის უნარს.

12.03.2023

სირიის თავდაცვის ძალების ანტიტერორისტული ოპერაცია დეირ-ეზ-ზორში

სირიის თავდაცვის ძალების მედია ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია კონტრტერორისტული ერთეულის მიერ დეირ-ეზ-ზორში ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის წევრის დაკავების შესახებ. მედია ცენტრის განმარტებით, აღნიშნული პირი პასუხისმგებელია სირიის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმების მომზადებაში. დაკავების ადგილიდან კონტრტერორისტულმა ერთეულმა AK-47 ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, შესაბამისი ამუნიცია და 3 სმარტფონი ამოიღო.

13.03.2023

ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციები

ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს 3 პალესტინელი სამხედრო დაიღუპა. ფატას პოლიტიკური პარტიის სამხედრო ფრთის, ალ-აქსას წამებულთა ბრიგადის განმარტებით, დაღუპული სამხედროები მათ რიგებში ირიცხებოდნენ. სპეცოპერაციის ფარგლებში ამოღებულია M16 ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი.
თავდაცვის ძალებმა გაავრცელა ინფორმაცია, ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილში შაჰიდის ქამრით აღჭურვილი პირის ლიკვიდაციის შესახებ. თავდაცვის ძალების განმარტებით, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი აღნიშნული პირის ლიბანურ ტერორისტულ ორგანიზაცია ჰეზბოლასთან კავშირის შესახებ.

12-13.03.2023

ისლამური ფატვას საბჭოს რელიგიური დადგენილება ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ შესახებ

შიიტებისგან, სუნიტებისგან და სუფიზმის მიმდევარი მოხელეებისგან დაკომპლექტებულმა ნაჯაფში არსებულმა ისლამური ფატვას საბჭომ, ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასი“ არარელიგიურად, ძალადობრივად და მიუღებლად გამოაცხადა, დაგმო აღნიშნული ორგანიზაციისთვის ლოცვა, მისი მხარდაჭერა ან მასში გაწევრიანება.

11.03.2023

ტერორისტული თავდასხმა იემენში

ტერორისტული ორგანიზაცია ალ კაიდას მიერ შაბვის მუჰაფაზაში დისლოცირებულ მეხუთე ადგილობრივ ბრიგადაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა.

14.03.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ჯუბას რეგიონში

სომალის ეროვნულმა არმიამ გაავრცელა ინფორმაცია, ჯუბას რეგიონში ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში ტერორისტული ორგანიზაცია ალ შაბააბის 7 წევრის ლიკვიდაციის შესახებ.

12.03.2023

ტერორისტული თავდასხმა ქალაქ ბანდერიზე

ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბააბის მიერ ქალაქ ბანდერიზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად ათზე მეტი სამოქალაქო პირი დაიღუპა.

14.03.2023

სამხედრო სასამართლოს განაჩენი ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული პირების საქმეზე

სომალის სამხედრო სასამართლომ ტერორისტულ ორგანიზაციებთან, ალ-შაბაბთან და დაეშთან აფილირებული და ქვეყნის მასშტაბით ტერორისტული თავდასხმების განხორციელებაში ბრალდებული 3 პირი - აბდი ნურ ჟიროუ, შარიფ აიან ჟიგო და მუჰამედ ომარ ბიიამალოუ სიკვდილით დასაჯა.

15.03.2023

ტერორისტული თავდასხმა ძანგონ-კატაფის ადგილობრივ საბჭოზე

ნიგერიის ჩრდილოეთ ნაწილში, კადუნას შტატის ძანგო კატაფის ადგილობრივი საბჭოზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაიღუპა 1 პოლიციის ოფიცერი და 16 სამოქალაქო პირი. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

13.03.2023

ტერორისტული თავდასხმა ქალაქ კირინდერას მაცხოვრებლებზე

გამოცემა APNews-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ კირინდერას მაცხოვრებლებზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად სულ მცირე 19 ადამიანი დაიღუპა. ხელისუფლებამ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა

ტერორისტულ ორგანიზაცია გაერთიანებულ დემოკრატიულ ძალებს (ADF) დააკისრა.

12.03.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია კასაბლანკაში

კასაბლანკას პოლიციის პრეფექტურამ და ტერიტორიული დაზვერვის გენერალურმა სამმართველომ საერთო სპეცოპერაციის შედეგად დააკავა ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშთან აფილირებული 3 პირი, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან საპატრულო სამსახურის თანამშრომლის მკვლელობაში.

15.03.2023

ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის თავდასხმა თაბიანის კულტურის ცენტრზე

ქალაქ ბალხში, თაბიანის კულტურის ცენტრში ჟურნალისტების საპატივსაცემოდ გამართული ღონისძიების დროს მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა სულ მცირე 1 და დაშავდა 8 ჟურნალისტი. თალიბანის ადმინისტრაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპიკერის, აბდულ ნაფი ტაკორის განმარტებით, მომხდარზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაცია დაეშმა აიღო.

11.03.2023

ინდოეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვის შესახებ

ინდოეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, ქვეყნის მასშტაბით 4 ორგანიზაციის ტერორისტულად გამოცხადების და მათი საქმიანობის აკრძალვის შესახებ. 2023 წელს აკრძალულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ - წინააღმდეგობის ფრონტი (TRF), ხალხთა ანტიფაშისტური მოძრაობა (PAFF), ღაზნავის ძალები ჯამუსა და ქაშმირში (JKGF) და ხალისტანის ვეფხვები (KTF). სამინისტროს განმარტებით აღნიშნული ორგანიზაციები, მათი წევრები და მათთან დაკავშირებული პირები პასუხისმგებელი არიან ინდოეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ არაერთ ტერორისტულ თავდასხმაზე.

15.03.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია სამხრეთ ვაზირისტანში

პაკისტანის უსაფრთხოების სამსახურის მიერ სამხრეთ ვაზირისტანში ტერორისტული ორგანიზაცია პაკისტანის თალიბანის (თეჰრიკ ე-თალიბან) სამხედრო სამალავზე მიტანილი იერიშის დროს ორგანიზაციის 8 წევრი და 2 ბავშვი დაიღუპა.

15.03.2023

მარიამ რაადის საქმის სასამართლო მოსმენა ავსტრალიაში

სამხრეთ უელსის შტატის სასამართლო განიხილავს სირიიდან რეპატრიანტი 31 წლის მარიამ რაადის საქმეს, რომელსაც ბრალად ედება ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის საქმიანობის ხელშეწყობა. 2018 წელს მარიამ რაადმა დატოვა ავსტრალია და სირიის ტერიტორიაზე საკუთარ ქმარს, რეკრუტირების პროცესზე პასუხისმგებელ დაეშის მაღალი რანგის წევრს შეუერთდა.

15.03.2023